



**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**  
**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**



KA011787697297521

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;  
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

# 115985

18 / მარტი / 2021 წ.

**გადანყვეტილება**

**ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ**

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 121983/17; თარიღი: 16.03.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: რუსუდან ყიფიანი (პირადი ნომერი 04001004380).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება:** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „იმერეთის რეგიონული ოფისი“).

**გასაჩივრებული გადაწყვეტილებები:** სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882021077010-03 (09.02.2021) და სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ № 882021077010-05 (12.03.2021) გადაწყვეტილებები.

**ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა:** გასაჩივრებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

**უძრავი ნივთის მისამართი:** ქალაქი ამბროლაური, წულუკიძის II ჩიხი №5.

№882021077010 სარეგისტრაციო განცხადებაზე წარდგენილი და 86.19.21.161 (მესაკუთრე: ნათელა ჩიკვაძე (პირადი ნომერი 35001094268) და ლევან ჯოხაძე (პირადი ნომერი 35001067664)) საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა ინსტრუქციით განსაზღვრული შედეგები.

№ 121983/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

**გ ა დ ა ნ ყ ვ ე ტ ი ა :**

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში რუსუდან ყიფიანის №121983/17 (16.03.2021) ადმინისტრაციული საჩივარი;

2. წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში დაინტერესებულ მხარედ ჩაბმულ იქნენ ნათელა ჩხიკვაძე (პირადი ნომერი 35001094268) და ლევან ჯონაძე (პირადი ნომერი 35001067664);

3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მას თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოთ იმერეთის რეგიონულ ოფისსა და დაინტერესებულ მხარედ ჩაბმულ პირებს;

4. დაინტერესებულ მხარეს განემართოს, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე მუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა ანარმოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით;


5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში და ამბროლაურის საზოგადოებრივ ცენტრში (მისამართები: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2, ქ. ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №22) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;

6. წინამდებარე გადაწყვეტილება ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);

7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/  
შტამგუდასმულია  
ელექტრონულად 

დავით დევიძე